№ 63

პარასკევი 22 მარტი 1902 წ.

გაზეთი ღირს:

თვე		მან.	კ.	თვე		მან.	კ.
12	. . .	10	—	6	. . . .	6	—
11	. . .	9	50	5	. . . .	5	50
10	. . .	8	75	4	. . . .	4	75
9	. . .	8	—	3	. . . .	3	50
8	. . .	7	25	2	. . . .	2	75
7	. . .	6	50	1	. . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

,,ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1902

ივერია

№ 63

პარასკევი 22 მარტი 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხე ხეზედ—5 კაპ.

,,ივერიის" ტელეფონი № 227.

ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა

მღვდელნი **სიმონ და ავქსენტი სახოკიები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 30 მარტს, ს. შხეფში (სენაკის მაზრა) გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის სტუდენტის

სამსონ სახოკიასი

(3—6.—2.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე ს-ა ექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. ტელეფონი № 642. (წ.)

სადღეისო წერილები.

ერი და ეროვნული პრინციპი

IV

თუმცა ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია, მაგრამ საზოგადოებისადმი მისწრაფება იმდენად უსაზღვრო გრძნობა როდია, რომ ადამიანს შეეძლოს სრული და ყოველ მხრივი ურთიერთობა მთელს კაცობრიობასთან. ადამიანები არ ერთდებიან და კავშირდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანები არიან. გარდა საზოგადო ადამიანურ თვისებათა საჭიროა სხვა რამ კიდევ, რომ ადამიანებმა მოისურვონ ერთად ცხოვრება და ერთის საზოგადოების შედგენა. საჭიროა მსგავსება იმ თვისებათა, რომელთაც შეჰქმნის ერთი წრე, ერთი ისტორია, ერთი ენა და რელიგია, და ამას ვპოვებთ მხოლოდ ერთის ერის წევრთა შორის, რომელნიც რამდენსამე საუკუნეს იყვნენ ერთგვარს პირობაში და ერთგვარად ჰგრძნობენ, ერთგვარად აზროვნობენ, ერთს საგანს ესწრაფვიან და ერთს აზრსა ჰფიქრობენ. თუ ადამიანს ესიამოვნება თავის მსგავსთა საზოგადოებაში ყოფნა, უმთავრესად და ხანდახან მხოლოდ თავის ერის წარმომადგენლებთან ერთად, იმ წარმომადგენლებთან, რომელნიც მისთვის უფრო ახლონი არიან და ძვირფასნი, უფრო ენათესავებიან, რომელთაც უფრო ესმით მისის გულის ტკივილი და სურვილი, ვიდრე სხვა ერის წარმომადგენლებს. ჩვენ გვსურს საუბარი, ურთიერთობა, ცხოვრება იმ კაცთან, რომლის წინაპართ და თვითონ მან მოიაზრეს, იგრძნეს, გამოიარეს ის, რაც ჩვენ და ჩვენთა წინაპართა; ბევრი რამა გვაქვს საერთო, დამაახლოვებელი, დამაკავშირებელი. ერთმა და იმავე ძალამ შეგვქმნა და აღგვზარდა, ერთი და იგივე მოვლენა და საგანი შეიქმნა ორივეს ღმერთი და სავედრებელი:

ეგ ის მუდამ ბრწყინვალე მზეა, რომლის სხივებ ქვეშ უფრო ძლიერ გვიცემს გული და რომელიც გვქმნის უფრო მხიარულს, ის აღყვავებული და ამწვანებული მინდვრები, ტყენი და მთებია, რომლის სხვა-და-სხვაობა სცვლის ერთს შთაბეჭდილებას მეორეთი და აფართოვებს ჩვენის გონების ჰორიზონტს, ის მშფოთავი მთის წყლებია, რომელთა შუილი და ხმაურობა გვიღვიძებს სიყვარულს შეუპოვრობისა და მხნეობისადმი, ის თვალ-გადუწვდენელი ზღვა, რომელიც თან გვეძახის ახლოთ და თან გვიზიდავს შორს და შორს, ის მთვარიანი ღამეები, რომელიც წარგვიტაცებს გონებას და ფიქრს უცნობელ მხარეს და უსაზღვრო სივრცეს; ეგ ის საერთო ენაა, რომელიც წარმოგვიდგენს არა მარტო უსიცოცხლო, მკვდარ იარაღს ურთიერთობისათვის, არამედ რომლის ხმები თავისთავად არის წყარო მეტად სასიამოვნო გრძნობებისა, ის საერთო ეროვნული ისტორია, რომელიც არის ისტორია თვით ჩვენის თავისა, ჩვენის ბრძოლისა და მისწრაფებისა, გამარჯვებისა და დამარცხებისა, ის ეროვნული მწერლობა, რომელიც არის ჩვენი თვით შეგნება, ეროვნული ხელოვნება—ჩვენი საუკეთესო თვისება, ეროვნული მეცნიერება—ჩვენი გენია,—ყველა ეს გვათვისებს ერთმანეთს, გვაწყურებს ერთად ცხოვრებას, ერთად მუშაობას.

თუ არსებობისათვის ბრძოლა თხოულობს შრომის განაწილებას და ძალთა შეერთებას, ადამიანი რჩეობს თავის ერის წარმომადგენელთან მუშაობას და უსიამოვნოდ შეუერთდება უცხოელ ადამიანთ. ეროვნულ საზოგადოებაში შრომა უფრო ადვილია და უფრო ნაყოფიერიც. ერთის ერის წევრნი ესწრაფვიან საერთო კავშირს, ერთად ყოფნას, რადგან ეროვნულ საზოგადოებაში ურთიერთობა უფრო სრულია, აქ უკეთესად მუშაობენ ადამიანები. იმ ვითარებამ, რომელმაც შეაკავშირა და დაანათესავა ერთის ერის წევრნი, გამოაცალკევა ისინი სხვა ერთაგან.

რისთვის არის დაყოფილი კაცობრიობა სხვა-და-სხვა ერად და რატომ არ წარმოადგენს ერთს საზოგადოებას? ამის პასუხი უნდა ვეძიოთ იქ, თუ კაცთა მოდგმა რად არ სცხოვრობდა ერთად, არამედ ცალ-ცალკე ჯგუფებად იმ დროიდგანვე, რა დრომდინაც-კი მიგვიწვდება თვალი? ისტორიამ არ იცის კაცობრიობის საერთო ისტორია, არამედ იცის ისტორია ცალკე საზოგადოებათა. პირველ-დაწყებითი მიზეზი ერთა გაჩენისა, ეროვნულ საზოგადოებათა არსებობისა ის არის, რომ კაცობრიობას არ ერტყა გარშემო ისეთი ვითარება, არ იყო მომზადებული, იმდენად განვითარებული, რომ შესძლებოდა ერთის საზოგადოების შედგენა, საერთო არსებობა. ამის განხილვა არ შეადგენს ჩვენს საგანს, ჩვენთვის საკმარისია აქ მხოლოდ ფაქტის აღნიშვნა. მაგრამ რა-კი არსებობენ ეროვნული საზოგადოებანი, ამას თავისი აუცილებელი შედეგი აქვს, რომლის მნიშვნელობა საზოგადო ცხოვრებაში მეტად, დიდია და ამ გარემოებას უნდა მივაქციოთ ახლა ყურადღება.

არსებობს ერი, ე. ი. არსებობს განსაკუთრებული ატმოსფერა ფიზიკური და სულიერი. ყოველი ადამიანი არის შვილი თავის წრისა. კარგად ჩაუკვირდეთ ამ კანონს. როდესაც ვიკვლევთ რომელისამე გამოჩენილის ადამიანის ცხოვრებას, აუცილებლივ განვიხილავთ, ვინ იყვნენ მისი მშობლები (რა მდგომარეობისა, რა ცხოვრებისა), როგორს ადგილას დაიბადა, როგორია გარშემო ბუნება, როგორს წრეში აღიზარდა, რას წარმოადგენს მისი ერი, რამდენად იყო განვითარებული ეკონომიურად ეს ერი, როგორი პოლიტიკური არსებობა ჰქონდა, როგორი იყო მისი ერის გონებრივი განვითარება, რა იდეალები ჰქონდა, რას ესწრაფვიდა, რა აწუხებდა და სხ.-და-სხ.. ყველაფერს ამას განვიხილავთ, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ უამისოდ ჩვენ ვერ გავიგებთ გამოჩენილის ადამიანის ფსიხოლოგიას, მის ნიჭს, ხასიათს, მისწრაფებას; დარწმუნებულნი ვართ, რომ გამოჩენილი, დიდ ბუნებოვანი ადამიანი ყველაზედ უკეთ ჰხატავს თავის ერის მდგომარეობას, მის ძალას და ღონეს, ღირსებას თუ ნაკლულევანებას.

ეს კანონი მართალია და აუცილებელი ყოველის ადამიანის, სულ უბრალო სიკვდილის შვილის შესახებაც. ადამიანი არის კონცეტრაცია მის გარშემო არსებულ ვითარებისა და ძალ-ღონისა. ადამიანში თავს იყრის არამც თუ დღევანდელი ძალ-ღონე, არამედ ის ვითარებაც, რომელშიაც სცხოვრობდნენ მისნი წინაპარნი; იგი არის შექმნილი წარსულისა და აწმყოს მიერ. ადამიანი უწრეოდ, სულიერს და ფიზიკურ ატმოსფერას მოკლებული, წარმოადგენს ნულს, არაფერს. მასში რაც არის, არის წრის ძალღონე.

ეს ცოტაა კიდევ. როგორც ყოველის ცოცხალის ორგანიზმის, ე. ი. მასში არსებულ ძალის განსავითარებლად, საჭიროა შესაფერი წრე, აგრეთვე ყოველის ადამიანის ძალის აღმოსაცენებლად, განსავითარებლად, აღსაზრდელად საჭიროა მისი წრე. ადამიანში არსებული ძალა შეიძლება არ ამოძრავდეს, მიიძინოს სამუდამოდ, დარჩეს პოტენციალურს მდგომარეობაში, თუ გარშემო წრემ არ აამოძრავა იგი, არა ჰკრა ხელი, არ მისცა მოტივი. როგორც რაიმე ყვავილის მცირე სუნნელი, რაიმე მუსიკალური ხმა იწვევს ჩვენში მოგონებათ, ამოძრავებს ჩვენს სულს, როგორც რომელიმე ჩვენი ღირსება ან ნაკლულევანება არ გამოჩნდება, თუ არ გაჩნდა საჭირო, შესაფერი გარემოება, ამგვარადვე ადამიანის ძალა განვითარდება და იმოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა გარს ახლავს თავისი წრე. ქარის მოძრაობა, მზის სხივები, ესა თუ ის დაწესებულება, სახლი, თამაშობა, სიმღერა, ყოველი ელემენტი ჩვენის წრისა აუცილებელია, რომ შეიარაღებულ ვიქმნეთ ჩვენში არსებულ ყოველისავე ძალით, რადგან ჩვენი შინაგანი ბუნება და წრე არის ერთმანეთის შეთანხმება, თანასწორობა, სრული ურთიერთობა.

ამიტომ თუ რომელსამე ადამიანს განვაშორებთ თავის წრეს, ეროვნულს საზოგადოებას, ეს იგივე იქნება, რომ მცენარეს ფესვები გადავაჭრათ და მოვუსპოთ ჰაერი.

ადამიანი უნდა აღიზარდოს თავის წრეში, ეროვნულ საზოგადოებაში, სადაც შეუძლიან მხოლოდ სავსებით განივითაროს თავისი ძალა; ამ საზოგადოების გარეშე ადამიანის ცხოვრება დასახიჩრებული იქნება მუდამ. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ თანდა თან ცვლილება შევიტანოთ ეროვნულ საზოგადოებაში როგორც პირდაპირ ინდივიდზე ზედგავლენით, ისე არა პირდაპირ, და რამდენადაც ეროვნული ატმოსფერები დაუახლოვდება ერთმანეთს, იმდენად ადამიანები უფრო და უფრო ნაკლებად იქმნებიან გასარჩევნი ერთმანეთში ეროვნულად. მაგრამ ადამიანი რომ არ მოვსწყვიტოთ ერს, რომ არ დავარღვიოთ თანხმობა ადამიანს და წრეს შორის, ეროვნულ საზოგადოებაში არავითარს შემთხვევაში არ უნდა მივმართოთ ძალმომრეობას, ერის განვითარება და ცვლილება უნდა იყოს დამყარებული სრულს ნებაყოფლობასა და თავისუფლებაზე. ერმა თავისუფლად უნდა განივითაროს საკუთარი თვისებანი, შეიძინოს ახალი თვისებანი. მისი განვითარება დამოკიდებულია ინდივიდების განვითარებაზედ, ხოლო ინდივიდის განვითარება იმაზედ, თუ რამდენად თავისუფალნი არიან ეროვნულად ინდივიდები, როგორი თანხმობა სუფევს მათ და ეროვნულ წრეს შორის. ეროვნული განვითარება-კი თავის თავად შეჰქმნის ნიადაგს კაცობრიობის ერთობის გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის...

კალამი.

(დასასრული ხვალ).

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 21 ამა მარტს, 9 საათზე 40 წამ., ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში მიბრძანდა კავკასიის მთავარ-მართებელი, გენერალ-ადიუტანტი, თავადი გრიგოლ სერგეისძე გოლიცინი. მათ ბრწყინვალებას სკოლაში შეხვდნენ სკოლის სამზრუნველოს კომიტეტის თავმჯდომარე ეგერმეისტერი თავადი კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონი და სკოლის გამგე ექვთიმე სვიმონისძე თაყაიშვილი. მთავარ-მართებელმა დაათვალიერა ყველა კლასები გაკვეთილების დროს და შეგირდებს აძლევდა სხვა-და-სხვა კითხვებს ამა თუ იმ გაკვეთილის მიხედვით. კლასების დათვალიერების შემდეგ მისმა ბრწყინვალებამ მოისურვა გალობის მოსმენა. შეგირდებმა სკოლის სააქტო დარბაზში მასწავლებელ ბ-ნ ჩხიკვაძის ლოტბარობით იგალობეს: „ღმერთო ფარავდე მეფესა" და „хоръ изъ оперы „Рогнѣда". ამის შემდეგ მათმა ბრწყინვალებამ მოისურვა ქართულ სიმღერის მოსმენა. ხორომ იგალობა ქართული ხალხური პოპური. მათი ბრწყინვალების სურვილისამებრ ხორომ მეტად ლამაზად და მწყობრად იგალობა ,,ნანა" და ქართული ,,მრავალ-ჟამიერ" კახურ კილოზე.

ყველა ნახულისა და მოსმენილით მათი ბრწყინვალება დიდად კმაყოფილი დარჩა. სრულს 11 საათზედ მათი ბრწყინვალება წაბრძანდა სკოლიდან. სკოლის გამგეს მთავარ-მართებელმა მადლობა უთხრა სწავლის საქმის კარგად წარმოებისათვის და თან 150 მან. გარდასცა შეგირდების გასამასპინძლებლად. სკოლის გამგემ ბ-ნმა თაყაიშვილმა დიდი მადლობა შესწირა მის ბრწყინვალებას სკოლაში მობრძანებისა და ამგვარი დიდის ყურადღებისათვის.

◆ აღდგომის პირველ კვირიდგან ჩვენი ზოგიერთი არტისტები აპირებენ კერძოდ, დრამატიულ კომიტეტის გარეშე, გამართონ რამდენიმე წარმოდგენა ბ-ნ გუნიას მეთაურობით.

◆ კვირას, მარტის 24-ს, სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში სწირავს საქართველოს ეგზარხოსი ალექსი. ნაწირევს მათის მაღალყოვლად-უსამღვდელოესობის თანადასწრებით სემინაარიის რექტორის სადგომში დანიშნულია კრება სასულიერო სასწავლებლებში ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე „ძმობისა". კრებაზე შეუძლიან დაესწროს ყველას, ვინც „ძმობის" საგანს თანაუგრძნობს.

◆ „კასპის" სიტყვით ამ ჟამად გაცხარებული მოლაპარაკება აქვთ კეროსინის დამწმენდ მექარხნეებს კავშირის შესადგენად. მექარხნეების აზრით მათი შეერთების საქმე ერთობ ტაატით მიდის და თითქმის არავითარი იმედი არა აქვთ, რომ საბოლოოდ დაკავშირდნენ, რადგანაც ამ მისწრაფებას დიდი ფირმები უშლიან ხელს.

◆ რუსეთის შინა-მრეწველობის მოღვაწეთა კრებაზე მსჯელობა ექნებათ იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას რუსეთში ყოველგან შინა-მრეწველობის საოლქო კომიტეტები.

◆ დეკანოზი მამა არდაზიანი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას ფიქრადაც არ მოსვლია სამსახურისათვის თავის დანებება, რაც ჩვენ გვქონდა დაბეჭდილი „ივერიის" გუშინდელს ნომერში.

◆ სასულიერო სასწავლებლებში გალობის მასწავლებელთ ახალი კანონით ენიჭებათ სახელმწიფო სამსახურის უფლებანი.

◆ დღეს ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია სხდომა საგანგებო კომისიისა, რომელიც იკვლევს ნატახტარის წყაროებს.

◆ „ტფილისის ფურცელში" ვკითხულობთ: „ჩვენ გვთხოვენ მივაქციოთ საზოგადოების ყურადღება გაჭირვებულ მდგომარეობას პელაგია მურტაძისა და მისი ხუთი მცირე წლოვან შვილებისას. მომრიგებელის მსაჯულის განჩინებისამებრ სასამართლოს ბოქაულმა დაანგრევინა ის სახლი, რომელშიაც მურტაძის ოჯახობა იდგა. პელაგიას ქმარმა, 75 წლის მურტაძემ წინააღმდეგობა აღმოუჩინა ბოქაულს, რის გამო დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. მთელი სახლობა ღვთის ანაბარა დარჩა, სახლის ნანგრევებში, სადაც ათენებს და აღამებს წვიმა-სიცივისაგან დაუცველი, მშიერი, მწყურვალი, დაფლეთილ ძონძებში გამოხვეული. უფროსი ბავშვი დარია—13 წლისაა, გიორგი—11 წ., სიდონია—7 წ., ზალიკო—3 წ. და დათიკო—2 წლისა. უბედურები თვალ-ცრემლიანნი თხოულობენ შემწეობას, ვისაც რით შეუძლიან. ამ ოჯახის მიგნება ასე შეიძლება: ოლგას ქუჩით უნდა წახვიდეთ იმ ადგილამდი, სადაც ტრამვაი ჩერდება; იქვე მარჯვნით დაინახავთ სახლის ნანგრევებს, რომელთა შორის დგას პელაგია მურტაძე და მისი საბრალო ხუთი წვრილშვილი".

ფულით შეწირულებას მიიღებს ყველა რედაქცია.

◆ ტფილისის გუბერნატორმა მოსთხოვა ქალაქის თავის მოადგილეს, შეატყობინოს მას შედეგი ქალაქის თვით მმართველობაში მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელის კასის რევიზიისა.

◆ ფინანსთა სამინისტროში ამ ჟამად აპირებენ ფაბრიკებისა და ქარხნების დაარსებისათვის გამოცემულის წესის შეცვლას. განზრახულის ახალის წესით პროექტები ფაბრიკებისა და ქარხნების დაარსების შესახებ უნდა წარედგინოს სატეხნიკო კომიტეტს, რომელსაც შეადგენენ საფაბრიკო ინსპექციის თანამდებობის კაცნი უფროს საფაბრიკო ინსპექტორის თავმჯდომარეობით.

◆ ოთხშაბათს 20 მარტს, ვაჟთა პირველ გიმნაზიის დარბაზში შესდგა კრება პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრთა ბ-ნის რეიტერის თავჯდომარეობით. წაკითხულ ხარჯთაღრიცხვიდან სჩანდა, რომ საზოგადოებას წარსულ წელს შემოსავალი 5,430 მან. 18 კაპ. და 1900 წლის დარჩენილ თანხა ჰქონია 4,486 მან. 32 კაპ., სულ 9916 მან. 50 კაპ. ამ ფულიდან დახარჯულ იქნა საანგარიშო წელს 2369 მან. 2 კაპ., ამ ჟამად საზოგადოებას აქვს ნაღდი ფული 7,547 მან. 48 კაპ. გადადებულ იქნა მომავალ წლისთვის დასახარჯად 3,190 მან. მომავალს წლის შემოსავალი ნავარაუდებია 3,570 მან. ამავე კრებაზედ გადაწყვიტეს დაარსონ ქუთაისში განყოფილება და აგონ საკუთარი შენობა ტფილისში.

◆ ამ ჟამად პეტერბურგში არიან ამერიკის სამეურნეო მაშინებისა და ხელსაწყობების მკეთებელ სინდიკატის წარმომადგენლები, რომელნიც ნებართვას სთხოვენ მმართებლობას, რომ ყოველგან რუსეთის იმპერიაში გახსნან საწყობნი მაშინებისა და ჰყიდონ ისინი პირდაპირ მიწის მუშებზე შეღავათიანის პირობებით და ხვედრი ფასის ნაწილ-ნაწილ აღებით.

◆ გუშინ წინ, 20 მარტს, ქალაქის გამგეობამ შემდეგი საქმეები განიხილა: 1) ხუბულურის თხოვნა, რომ ჩემი სიღარიბის გამო რადგან ვერ გადავიხდი მიწის იჯარაზედ მომატებულს გარდასახადს, მაპატიეთო. გამგეობამ უარი უთხრა მთხოვნელს. 2) წურინოვებმა და ოქუაშვილებმა სთხოვეს ნება-რთვა გამგეობას, რომ გაიყვანონ ელექტრონის განათების მავთულები თამამშოვის ქარვასლაში. გამგეობამ შეიწყნარა მათი თხოვნა. 3) ეფინჯიანცმა მოახსენა გამგეობას, რომ მე-9 უბანში ექ. კარაპეტიანცის მამულში თხოულობენ ნება-რთვას საზაფხულო ხის თეატრის აშენებაზედაო. გამგეობამ დაადგინა, რომ მას წინააღმდეგი არა ექნება რა, თუ ერთობ ახლო მცხოვრებნი არ არიან. 4) მთავარ-მართებელს ნება მიუცია ქალაქისათვის პუშკინის სახელობის წიგნთ-საცავისათვის მეორე სართული დაადგას ალექსანდროვის ბაღში ქალაქის მაღაზიებს, ამის გამო გამგეობამ დაადგინა ეთხოვოს საბჭოს 8,000 მანეთი ხსენებულ შენობისათვის.

◆ გუშინ, 21 მარტს, განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელიც შესდგებოდა ხმ. ნ. ა. გრიქუროვისა, ზურაბიან და ბეითალ ტერსტეფანოვისაგან, დაათვალიერა ავჭალის ქუჩის ყორღანოვის ტრამვაი. კომისიამ აღმოაჩინა, რომ თავით ბოლომდე მთელი ლიანდაგის ქვა-ფენილი უნდა შეკეთდეს. გომში ყორღანოვს ჰყავდა 58 ცხენი, იმათგან დაწუნებულ იქმნა 14, სამუშაოდ იყო 17 ცხენი, იმათგან უვარგისი გამოდგა 3. ყორღანოვს აქვს სულ 12 ვაგონი, უვარგისად სცნო კომისიამ 2. ამასთანავე კომისიამ შენიშნა, რომ პარკში უნდა იყოს გამართული ცალკე გომი ავადმყოფ ცხენებისათვის. იგივე კომისია 25 ამა თვეს დაათვალიერებს უსახელო საზოგადოების ტრამვაისაც.

შეცდომის გასწორება:

გუშინდელ „ივერიის" ახალ ამბავში, პირველ გვერდის მეხუთე სვეტზე დასაწყისიდგან მეშვიდე სტრიქონის ბოლოში, „ნიკოლოზის" შემდეგ გამოტოვებულია სიტყვა დის, უნდა იყოს «მღვდელ-მონაზონის ნიკოლოზის დის» და სხ.

გუშინდელ №-ში «დრო გამოშვებით წერილების" Motto-ში დაბეჭდილია: „წინწკლებმა"; უნდა იყოს: „წერტილებმა".

წერილი თრიალეთიდგან.

ბორჩალოს მაზრის ახალმა მმართველმა თავ. ჯანდიერმა მთელის თრიალეთის საზოგადოებათა მამასახლის-მწერლები მიიწვია 7 მარტს სოფ. ბაშკიჩეთში და მისცა საჭირო დარიგებანი. „ასე ტკბილად და ასე საფუძვლიანად რომ აქამომდე ვისმე დავერიგებინეთ, ჩვენი მოვალეობაც გვეცოდინებოდა და ამ ჩვენ ყრუ მხარეს რაც გმოადგებოდა, ისიცაო", ამბობდნენ მოხელენი.

მართლა და ამ მხრივ არის დაღუპული ეს მხარე. მცოდნე კაცს, თავად-აზნაურს აქ თვალით ვერ გაიცდი. 18 უშველებელი სამამასახლისო სულ გლეხობაა და ამათში წიგნის მცოდნეს ოცზე მეტს ვერ გამოარჩევ. დაუმატეთ ამას სიშორე და მოწყვეტა ტფილისის ან სხვა განათლებულ პუნქტებისა; ახლა თვით ადმინისტრაციის სიშორე, სრული გულცივობა გზების შეკეთების, სკოლების გამართვის, უბრალო კანონიერების დამყარების შესახებაც-კი და ოდნავ მაინც წარმოიდგენთ, რა შავ-ბნელი მხარე უნდა იყოს თრიალეთი...

სხვათა შორის თ. ჯანდიერმა მოხელეებთან მოლაპარაკებით ახლად დაჰყო თრიალეთი უფრო დიდ სამმართველოებად—ორი და სამი სოფლის საზოგადოებანი ერთად შეაერთა. ამ შეერთების პროექტს გუბერნატორისაგან დამტკი-

ალ ახალი არჩევნები მოჰხდება და ამას მამასახლისებს 300—400 მანეთამდე ჯამაგირი დაენიშნებათ. საშუალო სო- სამმართველოები აშენდება და წესიერი მწერლები იქმნებიან გამწესებულნი.

ბერძნის საზოგადოება, რომელიც ეხლა გომიემატა, სამი სოფელია. ეს სამი სოფელი მზა-მზარეულ ეკკლესიებს და შენობებს ზნებიან, პასკევიჩის დროს არზრუმიდან გადმოსახლებულნი. შუა სოფელს უწინ ქართველები უწოდებდნენ, ახლა დემურ-ბულახად თლავთ ბერძნებს. მეორე სოფელს იფნარა ა და ბერძნებს ერკუშოღლად მოუნათმესამე სოფელს ზაურისტანი ჰრქმევია და ქეიან ბუღთსანს უწოდებენ...

ესიების ზედ წარწერებით და ეკკლესიურ მენტებით-და შეიძლება გამოიკვლიოს ეს წოდებანი...

ა პროექტით გომარეთის საზოგადოება 800 მდე მოიყრის თავს და თერთმეტი სოფელი დება. დიდი-გომარეთი იქმნება საშუალო ა. ურიგო არ იქმნებოდა, რომ ხუთ ვერსმდებარე ორი პატარა თათრის სოფელი და ყაზილ აჰლოც ზედ მოეწერნათ—მაშინ მშვენიერი ვაკე ქარვასლის ხეობისა ერთი საზოგადოება იქმნებოდა და საუკეთესო საზოგადოებაც ბორჩალოს მაზრაში. მაშინ ექიმას პუნაქ დაწესდებოდა ქვემო თრიალეთისთვის, ზემო თრიალეთისთვის, ანუ ესრეთ წოწალკისთვის, უნია-ყალაში აპირებენ სასოფქსენონს...

კი ასეთი გაერთიანების ამბავი შეიტყეს, მაშინვე გომარეთის საზოგადოებისთვის ბერძნებრთველობამ და თათრებმაც-კი მიჰმართეს ობრივ მღვდელს თხოვნით: ისეთი სამამასახლისო კაცი გვიშოვეთ უცხოთაგანი, რომ რიგიანად მოგვიაროსო. ამ გვარ გარეშე კაცს 800 მანეთს ჯამაგირს მივცემთო: 400 მამასახლისისას და 400 მწერლისასაო. უმჯობეს თუ არა მღვდელი გან კაცს, ჯერ გადაწყვეტით არ ვიცით... თუ რჩეული კაცი იშოვეს, ბევრ რასმეს გააკეთებს ამ საზოგადოებაში—სადაც ჭირ-ვარამიც დიდია. იმედია, ადმინისტრაციაც მიეშველება ერთ ამ კეთილ განზრახვის აღსრულებაში, მით რომ ხალხიც მოწადინებულია ამას.

X.

დაბა და სოფელი

ჭიათურა. ეს ერთ კვირაზედ მეტია, რაც ბერლინის „სინდიკატმა" საერთო სასწორზედ მარგანეცის ება უკვე დაიწყო, რამაც ხალხი ცოტა არ იყოს : მხოლოდ საჭიროა ამ თავიდანვე მეტი ყურადღება მიექცეს ამხანაგობის მწონელებს და მათვე კონტროლერებს, რომელთაც ხელთ უპყრიათ ლად ნაშოვნი ამხანაგობის ბედ-იღბალი, უმეტეს, რომ დღეს გამხიარულებულს ამხანაგობოლოს თავში საცემად არ გაუხადონ ეს სასარგებლო ალებ-მიცემობა.

ქით მეტად ცხელი ამინდებია: ხეები ყვავილებით კვირტებით უკვე შეიმოსა, მოლმაც თვალის სასიამოვნოთ „ამოიზურმუხტ-ფერა" და ჩვეულებრივმა ბელის სილამაზემ დააჯილდოვა ზამთრისაგან ნს დაკრული არე-მარე.

ამად აქ მძვინვარებს მღერი (чесотка), რომელხალხი დიდ გაჭირვებაში ჩააგდო. სიცხეები რას გვიქადის ჭიათურელებს; ამიტომ მეტ არ უნდა ჩათვალონ სიწმინდის დასაცველად ბრივ შემდგარმა სასანიტარო კომისიამ ექიმების დახმარება.

ხმა გავრცელდა და ზოგიერთმა გაზეთებმაც ამმოგვიტანეს, რომ ამ წლის ივლისიდგან მომბელი სასამართლო და ნატარიუსის კანტორა არება ჭიათურაშიო. ამ ამბავს დიდის სიხარულით ებენ შავი-ქვის მწარმოებელნი.

გ. ნანელი.

ნარკვევი.

1897 წელს უმაღლესის ბრძანებით დაარს განსაკუთრებული კომისია თავად-აზნაურ მდგომარეობის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა გამოსაძებნელად.

კომისიის დაარსება თავის დროზე გაზეთმა „მოსკ. ვედ". შესანიშნავ მოვლენად აღიარა, რომლის სიღრმეს და სიდიადეს ვერ შეედრება ვერც ერთი რეფორმა, რომელიც-კი ოდისმე მომხდარა განათლებულ ქვეყნებშიო".

კომისიის შრომის ნაყოფი იყო, სხვათა შორის, განსაკუთრებულის სათავად-აზნაურო დეპარტამენტის დაარსება შინაგან საქმეთა სამინისტროში...

მაგრამ „მოსკ. ვედ". არ დაკმაყოფილებულა ამით: მისის აზრით, ყოველი წოდება და -კი არ უნდა იღებდეს მონაწილეობას მწიფო ცხოვრებაში, არამედ მხოლოდ თავად-აზნაურობას უნდა ჰქონდეს მინიჭებული უფლება—„იზრუნოს იმპერიის ყველა რებთათვის". გაზეთი თხოულობს, რომ დაარსებული კომისიაც, რომლის დანიშნულებაა მიწათ-მოქმედთა მდგომარეობის გაუმჯობესობა, თავად-აზნაურობის ინტერესებს ემსახუროს:

«გლეხი, ამბობს „მოსკ. ვედ.": თავის ნაწარმოების უმრავლესობას თვითონვე ჰხმარობს, ამიტომ სასოფლო-სამეურნეო კრიზისს არა აქვს მისთვის ასეთი მნიშვნელობა, როგორც მემამულე აზნაურისათვის... ჩვენის სასოფლო მრეწველობის ცუდმა მდგომარეობამ ყველაზედ მეტად ავნო თავად-აზნაურობას, ამიტომ ახლად გამოცხადებული ბრძანება (ხსენებულ სასოფლო-სამეურნეო კომისიის დაარსების შესახებ) უნდა განვიხილოთ როგორც ახალი წყალობა, ჩვენის პირველის წოდებისათვის მოვლენილი».

ჟურნალი „ვესტ. ევროპ". შეჰნიშნავს „მოსკ. ვედ"-ის სიტყვების შესახებ:

სხვა რა უწოდოთ ამას, თუ არ მეტის-მეტი სიხარბე! ეს არის გაუქმდა კომისია, რომელმაც შეიმუშავა მრავალი ღონისძიება მემამულე თავად-აზნაურობის სასარგებლოდ; ეს-ეს არის დაარსდა სათავად-აზნაურო დეპარტამენტი, რომლისაგანაც ულტრა-აზნაუშვილური პუბლიცისტები სხვა ამ გვარს ღონისძიებას გამოელიან—და ესე ყოველივე ცოტაა?..

დაარსებულმა კომისიამ უნდა იზრუნოს სასოფლო მეურნეობისათვის; ამ მეურნეობის წარმომადგენელნი არიან მიწის მფლობელნი და მიწად-მომქმედნი, ვინც უნდა იყვნენ წოდებით და ყველას მათგანს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მთავრობამ იზრუნოს მათთვის.

რუსეთი

— შინაგან საქმეთა სამინისტრო ახლა ამზადებს მასალებს საგუბერნიო დაწესებულებათა რეფორმებისათვის. პირველად შეცვლილი იქნება საადმინისტრო განყოფილება საგუბერნიო მმართველობისა: გამრავლდება მოხელეთა რიცხვი და მოემატებათ ჯამაგირები.

— ამა წლის ივლისიდგან შეიცვლება არსებული წეს-რიგი ფაბრიკის და ქარხნის დაარსებისათვის. დღეს ვისაც ფაბრიკის ან ქარხნის გამართვა უნდა, თხოვნა და გეგმა შეაქვს ქალაქის გამგეობაში და ამ უკანასკნელის დადგენილებას ამტკიცებს ქალაქის ადმინისტრაცია. ახალის კანონის ძალით-კი ასეთს გეგმებს განიხილავს საფაბრიკო ინსპექციის წევრებისაგან შემდგარი სატეხნიკო კომისია.

— ლიფლიანდიის საგუბერნიო უწყებებში გამოქვეყნებულია სავალდებულო დადგენილება, ყრილობათა და კრებათა წინააღმდეგ ლიფლიანდიის გუბერნიის იმ ადგილებისათვის, სადაც არ არის შემოღებული გაძლიერებულის მცველობის წეს-რიგი (ასეთი წეს-რიგია რიგასა და იურიევში).

— პარიჟში გამოვიდა პირველი წიგნი ახლად დაარსებულის რუსულის ჟურნალისა „ჟიზნ"—ისა ვ. ა. პოსსეს რედაქტორობით.

— ვილნოს გუბერნატორს ბრძანება მიუცია სახელოსნო-სამრეწველო დაწესებულებათა პატრონთათვის, 1) რომ მუშებისათვის თვალსაჩინო ადგილას გამოაკრან განცხადება: რომელს საათზე იწყება და თავდება მუშაობა; ამასთანავე სამუშაო დრო მოსვენების დროს გამორიცხვით არ უნდა გაგრძელდეს 10 საათზე მეტს და 2) იქონიონ კარგად მომუშავე კედლის საათი, რომლითაც განსაზღვრული იქმნება მუშაობის და მოსვენების დრო.

უცხოეთი

ოსმალეთი. ოსმალნი მაკედონიაში თავისას არ იშლიან და შეუბრალებლად სტანჯავენ ადგილობრივ მცხოვრებთ. მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ სოფელ შესტოვოში შეტაკება მოუხდათ ალბანელებსა და მცხოვრებთ. ბიტოლიის გუბერნატორის ბრძანებით შესტოვოში მოკლულ მაკედონელთა გვამების ფოტოგრაფია გადაუღიათ და თავები დაუჭრიათ. ეს ფოტოგრაფია და თავები ბიტოლიაში წაიღეს ჟანდარმებმა, მაგრამ გზაში აჯანყებულ ბოლგართა რაზმი დასცემია და წაურთმევია ერთიც და მეორეც. დამარცხებული და შერცხვენილი ჟანდარმები ქალაქში ჩასულან. ამ ამბავს ისე გაუბრაზებია კაიმაკანი, რომ ბრძანება გაუცია, სოფელი შესტოვო სულ ერთიან გადასწვითო. მაგრამ გუბერნატორს, გაუგია რა ეს განკარგულება, გაუუქმებია იგი და გლეხთა დასჯა უბრძანებია. 50 გლეხი საპყრობილეში ჩაუსვამთ. საშინლად აწამეს თურმე ეს გლეხები.

— „Levant Herald"-ში შემდეგი ამბავი სწერია: „ვანში მყოფი ჯარი: 5 ქვეითა ბატალიონი, 2 ბატალიონი არტილერიისა და 1 ესკადრონი კავალერიისა გაემართა სომეხ ინსურგენტთა წინააღმდეგ, რომელნიც მაღლობზედ გამაგრებულიყვნენ ბაგლარის მხარეს. ჯარმა ჯერ ზარბაზნები დაუშინა ამ მაღლობებს, შემდეგ იერიში მიიტანა. ინსურგენტები მამაცად იბრძოდნენ, მაგრამ ჯარმა მაინც სძლია და უკუ-აქცია". ახალგაზრდა ოსმალთა გაზეთებს ეს ამბავი ძალიან აკვირვებს. საიდგან გაჩნდნენ ვანთან ამდენი სომხებიო, ამბობენ ისინი. ზოგიერთი გაზეთები სწერენ, რომ ინსურგენტებთან ბრძოლა გამოგონილი ამბავია: ჯარს მშვიდობიანი მცხოვრებნი ამოაჟლეტინეს უმიზეზოთ და ეხლა აცხადებენ, რომ აჯანყებულნი იყვნენო.

ინგლისი. ამას წინად უინდგემმა, ირლანდიის საქმეთა მინისტრმა, შეიტანა პარლამენტში უკვე დაპირებული ირლანდიის საადგილმამულო ბილლი. ბილლს აზრად ისა აქვს, რომ უკედ მოაწყოს სახელმწიფოს მიერ ლენდლორდებისაგან მამულების ნება-ყოფლობით გამოსყიდვის საქმე, რათა შემდეგ ეს მამულები წვრილ ფერმერებს მიჰყიდოს. მხედველობაში მისაღებია, რომ ამ ბილლით მამულების გაყიდვა ლენდლორდების ნება-ყოფლობაზეა დამოკიდებული; ირლანდიელნი-კი, როგორც ვუწყით, თხოულობენ, რომ სახელმწიფომ ძალად ჩამოართვას მიწები ლორდებს და დაურიგოს ღარიბ ფერმერებს. მამულის სასყიდად ამ ბილლით დაწესებული იქმნება განსაკუთრებული საადგილ-მამულო კომისია. მემამულემ, რომელსაც ადგილის გაყიდვა უნდა, ამ კომისიას უნდა მიჰმართოს და სთხოვოს თავის ადგილის დაფასება. როდესაც მემამულე დაკმაყოფილდება დაფასებას, კომისია მეიჯარადრეთ შეეკითხა, თანახმანი არიან თუ არა მამულის გამოსყიდვისა. თუ მეიჯარადრეთა $^3/_4$ თანახმა აღმოჩნდა, კომისია შეიძენს მიწას და მეიჯარადრეებს დაურიგებს. მემამულეს კომისია აძლევს ფულს ერთბაშათ, ხოლო მეიჯარადრეთაგან წვრილ-წვრილად იღებს, ვიდრე მამულის მთელი ფასი არ იქმნება გასტუმრებული.

ირლანდიელებმა განაცხადეს, რომ ამ ბილლში ცოტა რამ კარგი არისო. მოიწონა იგი აგრეთვე როსსელმა, თუმცა სთქვა, რომ მაინც ბოლოს საჭირო შეიქმნება მამულების ლენდლორდებისაგან ძალით გამოსყიოვაო.

სამხრეთ-აფრიკის ომი. რა პირობით უნდა დაიდოს ზავი ბურებსა და ინგლისს შორის?—აი რაზედ სწერენ და ლაპარაკობენ ეხლა ინგლისური გაზეთები. ლიბერალური გაზეთები ამბობენ, რომ ყველაზედ ძნელი გადასაწყვეტი სამი საგანიაო: ავტონომია, ამნისტია და ჯილდო განადგურებულ ფერმების აღსადგენად. იმათის სიტყვით, ინგლისმა, თუ უნდა რომ ბოლო მოეღოს ომს, სამივე საგანში უნდა დაუთმოს ბურებს: უნდა მიანიჭოს მათ სრული ავტონომია, აფრიკანდერებს—ამნისტია და ამას გარდა აუღგინოს ზარალი ბურებს. ეხლა მათ სარჩო-საცხოვრებელი არა აქვთ, არც სადგომები მოეპოვებათ. ინგლისმა ფული უნდა მისცეს, რომ სახლები მაინც აიშენონ. კონსერვატიული გაზეთები, რასაკვირველია, ყველა ამის წინააღმდეგნი არიან. ამბობენ, ბურები მზად არიან დაუთმონ ინგლისს იოჰანესბურგის ოლქი თავისის ოქროს მადნებით იმ პირობით-კი, რომ დანარჩენი ადგილი ბურებისავე იყოს. ამას გარდა მათ სრული დამოუკიდებლობა უნდა მიენიჭოთ.

ჩინეთი. „Nat. Zeit."-ი სწერს, რომ აჯანყება სამხრეთ ჩინეთიდგან შუაგულ ჩინეთშიაც გადავიდაო. თითქმის ყველა პროვინციას მოედო თურმე აჯანყება; ყველაზედ მეტად-კი ხუნანის პროვინციაში იჩინა თავი. ამ პროვინციას თავის მოსავლით დიდი მნიშვნელობა აქვს მთელ ჩინეთისათვის. ხუნანში 22 მილლიონი მცხოვრებია.

„ივერიის" ფოსტა.

ჭ—ა. გ. თ. ნ—ს. თქვენი წერილი «შორაპნის სადგურზედ მგზავრის მასლაათი» არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

20 მარტი.

პეტერბურგი. მის უდიდებულესობას წარუდგა ბოლგარიის მინისტრ-პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა მინისტრი დანევი.

სარატოვი. სახალხო კითხვათა კომისიამ გამართა კურსი პოპულიარულ ლექციებისა ბუნების-მეტყველებიდგან.

ტამბოვი. აზრადა აქვთ კერძო შემოწირულებით ააგონ შენობა სამუსიკო სასწავლებლისათვის. საბჭომ უსასყიდლოდ ადგილი დაუთმო და დაუნიშნა 1500 მანეთი.

სამარა. სამარაში არსდება სახალხო ჯანმრთელობისათვის მზრუნველ რუსეთის საზოგადოების განყოფილება.

ხარკოვი. დამთავრდა გამოძიება საადგილმამულო და სავაჭრო ბანკებში მომხდარ ბოროტ-მოქმედებათა გამო.

ეკატერინოსლავი. შედგენილ იქმნა პროექტი საქალაქო თეატრისა. თეატრში 1500 კაცი დაეტევა, დაჯდება იგი 200,000 მანეთი.

ვარშავა. აზრადა აქვთ რკინის გზის გაყვანის საქმე კალიშიდგან გერმანიის საზღვრამდე გადასდონ იმ დრომდე, ვიდრე საბოლოოდ არ შეეთანხმებიან გერმანიის რკინის გზებს.—ადგილობრივი გაზეთები სწერენ, რომ სამინისტრომ მოიწონა პროექტი ვარშავაში ახალის დედათა გიმნაზიის დაარსების შესახებაო.

ბიისკი. რუსეთ-მონგოლიის ურთ-ერთი ვაჭრობა 1901 წელს უდრიდა 1,724,580 მანეთს.

ომსკი. საბჭომ დაადგინა იყიდოს 5000 მანეთის თივა ომსკის მცხოვრებთათვის.

კიევი. უნივერსიტეტის პროფესორებმა და მოსწავლეებმა ყოფილმა მკურნალებმა შეჰკრიბეს 2,200 მანეთი. ამ ფულით, პროფესორ ხოდინის 30 წლის მოღვაწეობის სახსოვრად, ერთი ავადმყოფი შეინახება სამკურნალოში.

იალტა. დიულბერში მოვიდა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, ხოლო აი-ტოდორში—დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე.

შანჰაი. ჩინეთმა გადაიხადა მესამე შესატანი სამხედრო საზღაურისა.

ბერლინი. ამ ჟამად აქ მყოფმა ნიდერლანდიის მინისტრ-პრეზიდენტმა კუიპერმა უთხრა რეპორტერს, რომ მოვიდა უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებლების გასაცნობადაო.

კონსტანტინეპოლი. სიმართლეს მოკლებულია უცხოელ გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ რუსეთის ელჩმა ზინოვიევმა გადასდო ოსმალეთიდგან დროებით წასვლა, რადგანაც სულთანთან წარსადგენი აქვს მემორანდუმი, რომელშიაც პორტას წინადადება ეძლევა მაკედონიაში რეფორმები შემოიღოს. ტყუილია აგრეთვე ისიც, ვითომ ზინოვიევი დაემუქრა პორტას, ავსტრია-უნგრეთი მაკედონიაში ჩაერევაო, ხოლო რუსეთი—სომხეთშიო. პირიქით ზინოვიევმა ურჩია პორტას, მხნე ზომები მიიღოს მოუსვენარ ელემენტების წინააღმდეგ. ელჩმა ზინოვიევმა აუდიენციაზედ გადასცა სულთანს, რომ რუსეთმა და ავსტრ-უნგრეთმა მიჰმართეს ბოლგარიის მთავრობასაო.

პრეტორია. რკინის გზაზედ მომხდარ უბედურ შემთხვევის მიზეზი ის იყო, რომ აღმართზედ მატარებელი ლიანდაგს გადასცდა.

პეტერბურგი. შინა მრეწველობის მოღვაწეთა კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს დაარსებულ იქმნას სახელმწიფო ბანკი, რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა პირად შრომას.

21 მარტი.

კიევი. იურიდიულ გამოსაცდელ კომისიის თავმჯდომარედ ყაზანის უნივერსიტეტში დანიშნულ იქმნა კიევის უნივერსიტეტის პროფესორი გულიაევი.

კოვნო. რუსეთის ქვეშევრდომთ, რიცხვით 18 კაცს, რომელნიც ინგლისის მოხელეებმა სამხრეთ-აფრიკიდგან გამოისტუმრეს, მოუციათ ინგლისის მთავრობისაგან ჯილდოდ 16,188 მანეთი. ზოგიერთნი არ გამოცხადებულან ფულის მისაღებად.

ოდესსა. საბირჟო კომიტეტი ჰგზავნის მოსკოვსა, პეტერბურგსა, რიგასა და ლიბავაში ვაჭართა გამგეობის მდივანს დიდ სავაჭრო ბირჟების გასაცნობად. სატარიფო საქმის მოსაწეს-რიგებლად ოდესაში ჰფიქრობენ ბირჟასთან საბაჟო ბიუროს დაარსებას.

რომი. „Journale d'Italia"-ს თანამშრომელთან ლაპარაკის დროს გერმანიის კანცლერმა სთქვა საფრანგეთ-იტალიის დაახლოვების გამო: „მეგობრული დამოკიდებულება სამთა კავშირის ამა თუ იმ სახელმწიფოსი რომელსამე სხვა სახელმწიფოსთან სამთა კავშირს არ ეხება. სამთა კავშირი რომ არ არსებობდეს, უნდა შექმნილიყო იგი, რადგანაც კავშირი უზრუნველ-მყოფელია მშვიდობიანობისა და აწ არსებულ წესისა". პრინეტისა და ბიულოვის შეხვედრას არაფერი ცვლილება არ შეაქვს იტალიისა და გერმანიის დამოკიდებულებაში, რადგანაც ეს დამოკიდებულება გამსჭვალულია ნდობით. გერმანია წინააღმდეგობას არ გაუწევს იტალიის მიერ ტრიპოლში ექსპედიციის გაგზავნას. გერმანიის საბაჟო ტარიფი მშვენიერ საფუძველს შეადგენს მოლაპარაკებისათვის. ინგლის-იაპონიის ტრაქტატი და საფრანგეთ-ინგლისის დეკლარაცია საშიშო არ არის გერმანიისა და იტალიისთვის, რადგანაც ეს სახელმწიფონი ნაკლებ დაინტერესებულნი არიან შორეულ აღმოსავლეთის საქმეში; მათ აზრად ჩინეთის სიმთელის და ვაჭრობის თავისუფლების დაცვა აქვთ.

პეტერბურგის ბირჟა 18 მარტი.

ვექსილის კურსი 9 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94	
ბერლინში 100 მარკაში	—	
პარიჟში 100 ფრანკში	—	
ლონდონში ჩეკები	94,70	
ბერლინში ,,	46,30	
პარიჟში ,,	37,30	
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	$96^3/_4$	გაყიდ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	$93^3/_4$	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა	—	
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$469^1/_2$	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$364^3/_4$	გაყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა.	[illegible]	გაყიდ.
$4^1/_2$% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	$94^7/_8$	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$89^1/_2$	გაყიდ.
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.		
აქციები ,,		
,, კასპიის ამხანაგობისა.		
,, ბაქოს ნავთის საზოგად.		
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.		

განცხადება

Денисовскій

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდოგრინი" მ. ვ. ლეჟავასი

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6—1.)

გორის პოლკი

ამით აცხადებს, რომ მომგებიანი ბილეთები პირველის შინაგანის სესხისა №№ $^6/_{6648}$ და $^{21}/_{18927}$ და მეორე სესხისა №№ $^5/_{14614}$ და $^5/_{10904}$, რომელიც ინახება პოლკში და რომელიც გადმოეცა წინად ყოფილ გურიის დრუჟინისაგან, **ამა წლის პირველ ივლისს იქმნება გასყიდული.** მოვიწვევთ იმათ, ვისაც ამ ბილეთებში წილი უდევთ, შეგვატყობინონ, როგორ მოვექცეთ ბილეთებში აღებულს ფულს და თან ისიც იქონიონ მხედველობაში, რომ **1 ივლისის შემდეგ არარავითარის პრეტენზიის გამოცხადება აღარ იქმნება მიღებული.** ეს განცხადება შეეხება ყოფილ გურიის დრუჟინის სამხედრო კაცთ: გიორგი ბერიძეს, ივანე და ნიკოლოოზ დუმბაძეს, თ. თ. თომასა და სევასტი ერისთავთ, თ.-თ. ფარსადანსა და ლევან მიქელაძეებს, იასონ აბაშიძეს, ევსტათი ანთაძეს, გრიგოლ გაბაშვილს და რომანოზ დარჩიას. (3—314—3)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	15 ,,
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	5 ,,
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	30 ,,
აბო ტფილელი, ე. გ.	30 ,,
Або Тифлисскій, Е. К.	5 ,,
ამბავი მადლის ქვისა	5 ,,
აკიდო სამშვილდო, მოთხრ. ი. გოგებაშ.	15 ,,
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. 50 ,,
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	40 ,,
ბენია	10 ,,
ბუნების სოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	15 ,,
ბაში-აჩუკი, აკაკისა	30 ,,
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა 1 მ.	30 ,,
გლეხ-კაცის ისტორია, III—IV ტ. 1 მ.	20 ,,
გამზრდელი, აკაკისა	5 ,,
გასართობი	10 ,,
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	15 ,,
გუსტავ ვაზა	5 ,,
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	60 ,,
გიორგი და მიხეილი	10 ,,
Древный Анчисхатскій соборъ.	
ქართველი წმიდანნი, გ. იოსელიანისა	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	,, 30
ჩანგი, გ. აბაშიძისა	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	
Царица Тамара, М. Джанашвили.	,, 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა	,, 30

Дозволено цензурою. Тифлисъ 21 мар. 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.